დიდი ფეხბურთის დღე ევროპაში

სტუმრად მოუწიათ თამაში მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს. მოსკოველებმა შვეიცარიის ქალაქ ციურიხის „ჰარდტურმის“ სტადიონზე მაქსიმალური შესაძლებლობით ითამაშეს „გრასჰოპერსთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0, რაც მათ საპასუხო მატჩისთვის საუკეთესო პერსპექტივას უქმნის. თავი გამოიჩინა დინამოელმა ბოროდიუკმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა (ერთი პენალტით) მასპინძელთა კარში, მეოთხე გოლის ავტორია კარატაევი. გააფრთხილეს მოსკოველი დობლოვოლსკი.

ახლა თბილისის „დინამოსა“ და სოფიის „ლოკომოტივის“ მატჩის შესახებ, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქში შედგა ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე. ეს მატჩი 16 სექტემბრის ნაცვლად 17 სექტემბერს გაიმართა იმის გამო, რომ სოფიაში შედგა თასების მფლობელთა თასის მატჩი ადგილობრივ „ვიტოშასა“ და საბერძნეთის ოფი-ს შორის.

ამ ფრიად საპასუხისმგებლო მატჩს მოუთმენლად ველოდით თბილისის „დინამოს“ ქომაგები. ჩვენი გუნდი წლეულს საკმაოდ მარცხიანად გამოდის საკავშირო ჩემპიონატში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საჭირო შეიქმნა გუნდის ხელმძღვანელობის მთლიანი შეცვლა, უშუალოდ, ძირითადი შემადგენლობის რეკონსტრუქცია. ჯერ კიდევ მწვავედ დგას უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების პრობლემა. ამიტომ საერთაშორისო ოფიციალურ მატჩში ჩვენს გუნდს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა წარმატების მისაღწევად.

შეიძლება ითქვას, რომ დინამოელებმა სოფიაში აქტიურად, დიდი მონდომებით, მობილიზებით ითამაშეს. მართალია, „ლოკომოტივი“ მასპინძლის კვალობაზე მატჩის გარკვეულ პერიოდებში ინიციატივას ფლობდა და მწვავე მომენტებსაც ქმნიდა, მაგრამ ხშირი კონტრიერიშების დროს დინამოელებიც არანაკლებ სახიფათოდ მოქმედებდნენ. ბულგარელთა მეკარე ნიკოლოვს საკმარისზე მეტი ჰქონდა სამუშაო, მაგრამ მატჩის შედეგი უმთავრესად განაპირობა იუგოსლავიელი არბიტრის ვ. ვუიოვიჩის აშკარა არაობიექტურობამ. მატჩის მსვლელობა ტელევიზიით ყველამ ვნახეთ და გარკვეული შთაბეჭდილება შეგვექმნა ძალთა თანაფარდობაზე. შეიძლებოდა თამაში ფრედ დაგვემთავრებინა, ან წაგვეგო კიდევაც, მაგრამ შეხვედრის საბოლოო შედეგზე გარკვეული გავლენა მოახდინა ვ. ვუიოვიჩის მიერ 11-მეტრიანების არასწორმა ფიქსაციამ. შეიძლება ვიდავოთ იმაზე, სწორი იყო თუ არა ვ. ვუიოვიჩი, როცა თამაშის 45- წუთზე კარიდან გამოსული გაბელია შეეჯახა ბულგარელთა ერთ-ერთ მოიერიშე ფეხბურთელს და არბიტრმა წამსვე 11-მეტრიანი დანიშნა. დინამოელების თამაში ვ. ვუიოვიჩმა უხეშობად მიიჩნია და პენალტის წერტილისკენ მითითა. 50-ე წუთზე თბილისის თბილისის „დინამოს“ სათამაშო მოედანთან კვლავ მოთამაშეთა შეტაკება მოხდა და ვ. ვუიოვიჩმა ამჯერადაც უყოყმანოდ გამოიტანა სასჯელის უმაღლესი ზომის გადაწყვეტილება. ამ შემთხვევებში იგი საკუთარი

შეხედულებებისამებრ მოქმედებდა და 11 მეტრიანების დანიშვნაც მხოლოდ მისი კომპეტენციაა. ამაში სხვა ვერავინ ჩაერევა. მაგრამ ამ ორი პენალტის შემდეგ კი „ლოკომოტივის“ საჯარიმო მოედანზე ბულგარელთა მცველმა ისეთი დაუშვებელი ხერხით წააქცია მეკარესთან პირისპირ გასული კორღალიძე, თანაც წააქცია უკნიდან, რომ წინა ორი 11-მეტრიანის უაპელაციოდ დამნიშვნელს საყოყმანო არაფერი უნდა ჰქონოდა. და ვ. ვუიოვიჩსაც არ უყოყმანია, ისე აჩვენა აშკარა ჟესტით, რომ... პენალტის დანიშვნას დამნაშავეთა კარში არ აპირებდა და თამაშის გაგრძელება გადაწყვიტა. ეს იყო არბიტრის უხეში შეცდომა.

ჩვენი შეხედულება ერთსულოვანი და კატეგორიულია: „ლოკომოტივის“ საჯარიმო მოედანზე აშკარა დარღვევა მოხდა. 11-მეტრიანიც ეჭვს არავისში იწვევდა. თვით ვ. ვუიოვიჩის გარდა. მან კი სრულიად გაუგებარი მიზეზით, დუმილი არჩია.

ფრიად დასანანია, რომ ყველაფერი ამის შემდეგ თბილისის „დინამომ“ ეს პირველი მატჩი წააგო და რაკი ბულგარელმა ---- წუთზე კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე სავსებით კანონზომიერად, მესამე ბურთის გატანა შეძლეს. ჩვენი გუნდი მეტად სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ საპასუხო მატჩისთვის.

თბილისის „დინამომ“ უეფა-ს თასის საპასუხო შეხვედრა შინ უნდა ჩაატაროს ბულგარელ ფეხბურთელებთან. ჩვენი გუნდის ყველა გულშემატკივრის სახელით, იმედს გამოვთქვამთ, რომ დინამოელები ყველაფერს იღონებენ სავსებით დაუმსახურებელი წაგების სარევანშოდ.

თბილისის „დინამომ“ სოფიაში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ცვეიბა, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კორღალიძე, სვანაძე (გურული, 62), სულაქველიძე, რევიშვილი, ფანცულაია, შენგელია.

“ლელო”, 19.09.1987